

საქართველოს ფინანსთა

მინისტრის ბრძანება №560

2010 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფოს ვალდებულებების, მათ შორის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში, დაფარვის, აღრიცხვის და ანგარიშგების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს ინსტრუქცია „სახელმწიფოს ვალდებულებების, მათ შორის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში, დაფარვის, აღრიცხვის და ანგარიშგების წესის შესახებ“ (თანდართულ დანართთან ერთად).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კ. ბაინდურაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

ინსტრუქცია

სახელმწიფოს ვალდებულებების, მათ შორის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში, დაფარვის, აღრიცხვის და ანგარიშგების წესის შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი

1. ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებების, მათ შორის დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში, დაფარვის, აღრიცხვის და ანგარიშგების წესს.

2. ამ ინსტრუქციაში გამოყენებული ტერმინები და ცნებები გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის სფეროში, თუ ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დონორი – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, უცხო ქვეყნის მთავრობა და/ან მათი წარმომადგენლობები;

ბ) საინვესტიციო პროექტი – დონორის მიერ საქართველოსთვის (საქართველოს მთავრობისთვის) გამოყოფილი კრედიტებით, სესხებით, გრანტებით და ტექნიკური დახმარებით განსახორციელებელი პროექტი, რომელიც ასახულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;

გ) სახელმწიფო ვალდებულება – საერთაშორისო დავის შედეგად წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულება, ასევე საინვესტიციო პროექტის განხორციელებაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ქართული მხარის ფინანსური ვალდებულება გადასახადების ნაწილში;

დ) ხელშეკრულება – საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე დონორსა და საქართველოს (საქართველოს მთავრობას) შორის გაფორმებული და ძალაში შესული ხელშეკრულება;

ე) პროექტის განმახორციელებელი – ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება;

ვ) შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება – საინვესტიციო პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება;

ზ) ვალდებულების დაფარვა – სახელმწიფო ვალდებულების შესრულების მიზნით, ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაცია;

თ) სახელმწიფო ხაზინა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 3. საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა

1. საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან (შემდგომში – ქვეანგარიში).

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ყოველწლიურად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამ ბრძანების დანართი №1-ით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, ამტკიცებს საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებლებს.

3. სახელმწიფო ხაზინა საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მაჩვენებლებით.

4. პროექტის განმახორციელებლის მიერ, პროექტის გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულების დასაფარად ქვეანგარიშიდან თანხის გადარიცხვაზე მზადდება საგადახდო დავალება სამ ეგზემპლარად.

5. საგადახდო დავალება პროექტის განმახორციელებლის მიერ ივსება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მეორე და მესამე ეგზემპლარები დასტურდება პროექტის განმახორციელებლის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით და ბეჭდით.

6. საგადახდო დავალების სამივე ეგზემპლარი პროექტის განმახორციელებლის მიერ წარედგინება სახელმწიფო ხაზინას.

7. საგადახდო დავალებაში მითითებული გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულების თანხის გაანგარიშების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროექტის განმახორციელებელს.

8. სახელმწიფო ხაზინა პროექტის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილ საგადახდო დავალებას ასრულებს სათანადო რიგითობით, ქვეანგარიშიდან თანხების გადარიცხვაზე საგადახდო დავალებების წარდგენის თარიღისა და დროის გათვალისწინებით.

9. სახელმწიფო ხაზინა არ ასრულებს წარმოდგენილ საგადახდო დავალებას, თუ საგადახდო დავალება შედგენილია ამ ინსტრუქციის პირობების ან/და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 3^ა. საერთაშორისო დავების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა

1. საერთაშორისო დავების შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან.

2. საერთაშორისო დავაში საქართველოს სახელმწიფოს სახელით მონაწილეობის მიმღები სახელმწიფო უწყება სახაზინო სამსახურს მიმართავს წერილობით (რომელიც დადასტურებულია უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით) ვალდებულების დასაფარად.

3. წერილობითი მიმართვა უნდა შეიცავდეს იმ პირის იდენტიფიცირებისა და საბანკო ანგარიშწორებისათვის საჭირო რეკვიზიტებს, ვის სასარგებლოდაც მოხდა სახელმწიფო ვალდებულების წარმოქმნა. წერილობით მიმართვას უნდა ახლდეს აგრეთვე სახელმწიფო ვალდებულების წარმოქმნის შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. სახელმწიფო ხაზინა არ შეასრულებს ვალდებულების დაფარვას, თუ სახელმწიფო ხაზინაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის დადგენილ მოთხოვნას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

მუხლი 4. სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვის აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო ხაზინა აღრიცხავს და ამზადებს რეესტრს საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების ქვეანგარიშიდან დაფარვის საკასო ოპერაციებზე.

2. სახელმწიფო ხაზინა ქვეანგარიშიდან საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვაზე, პროექტის განმახორციელებელს აწვდის სახაზინო ამონაწერს ქალაქის ფორმით ან ელექტრონულად, მისი მოთხოვნისთანავე.

3. ქვეანგარიშიდან სახელმწიფოს ვალდებულებების დაფარვა არ აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში და ანგარიშში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

დანართი №1

„დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს საგადასახადო ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებლები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის ბრძანება №601 - ვებგვერდი, 05.12.2011წ.

	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ათას ლარებში)	პროექტის განმახორციელებელი	პროექტის გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს საგადასახადო ვალდებულების დაფარვაზე პასუხისმგებელი შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება	პროექტის გადასახადების ნაწილში სახელმწიფოს საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად წლის განმავლობაში მისაღები თანხის საპროგნოზო მოცულობა (ათას ლარებში)
	1	2	3	4	5
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
...					
...					
...					
...					